ექსპერტიზის ანგარიში

(კორექტირებული)

ქ. თბილისში, მეფე სოლომონ II-ის ქუჩა №4-ის, (ს/კ 01.18.06.006.311) ტერიტორიაზე სასწავლო უნივერსიტეტის „გეომედი“-ს საუნივერსიტეტო კლინიკის შენობის კორექტირებული არქიტექტურული პროექტის ნაწილების „ტექნიკური რეგლამენტის - შენობა-ნაგებობების უსაფრთხოების წესების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილებასთან შესაბამისობის შესახებ

1. დამკვეთის მიერ მოწოდებული დოკუმენტაცია

დამკვეთის წარმომადგენელის, არქიტექტორ პაატა ჭავჭანიზეს მიერ მოწოდებული პროექტის არქიტექტურული ნაწილების საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილებასთან, ტექნიკურ რეგლამენტი – "შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესები" შესაბამისობის დადგენის მიზნით, წარმოდგენილი იქნა, „მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებაში, ქალაქ ქ. თბილისში, მეფე სოლომონ II-ის ქუჩა №4-ის, (ს/კ 01.18.06.006.311) ტერიტორიაზე სასწავლო უნივერსიტეტის „გეომედი"-ს საუნივერსიტეტო კლინიკის შენობის კორექტირებული პროექტის დოკუმენტაციის არქიტექტურული ნაწილი:
საპროექტო დოკუმენტაციის არქიტექტურული ნაწილის ელექტრონული ვერსია CAD ფაილების და pdf ფაილის სახით ერთი ეგზემპლიარი.

2. პროექტის აღწერილობა, დაგეგმარების საფუძველი და მიზნები:

უნივერსიტეტი „გეომედი"-ის საპროექტო ტერიტორიაზე მიმდინარეობს სამუშაოები შეთანხმებული პროექტით #6535803 29.06.2023 მშენებლობის ნებართვა #6575751 24.07.2023, რომელიც ითვალისწინებს ტერიტორიაზე მდებარე შენობა #2-ზე მეოთხე სართულის დაშენებას.
უნივერსიტეტის განვითარებისათვის აუცილებელია კლინიკის აშენება და უნივერსიტეტის სამედიცინო უნივერსიტეტად გარდაქმნა.
ამ მიზნის მისაღწევად, შეთანხმებულ პროექტში აუცილებელია ცვლილებების შეტანა .
წარმოდგენილი კორექტირებული პროექტი ითვალისწინებს ტერიტორიაზე მდებარე (გარდა შენობა #2, რომელზეც მიმდინარეობს მე-4 სართულის დაშენება) შენობა #1, #3, #4 და შენობა #5-ს (საკადასტრო რუკის მიხედვით) დემონტაჟს და ტერიტორიაზე #2 სასწავლო შენობის გარდა კლინიკის ბლოკის და ახალი სასწავლო კორპუსის განთავსებას. შენობა #2, გარდა პირველ და მესამე სართულებზე შიდა გეგმარების ცვლილებისა კლინიკის მოწყობისათვის, დასრულდება შეთანხმებული პროექტის მიხედვით.
ტერიტორია ხასიათდება დიდი ქანობით დასავლეთიდან აღმოსავლეთის და სამხრეთიდან ჩრდილოეთის მიმართულებით.
არსებული #3 შენობის ადგილას განთავსდება კლინიკის შენობა 7 მიწისზედა სართულით და 1 მიწისქვეშა სართულით. მიწისქვეშა სართული(B და D ბლოკი) ემიჯნება არსებულ შენობა #2-ს და განთავსებულია დიაგნოსტიკური ცენტრი, ლაბორატორიები, სასტერილიზაციო განყოფილება, გასახდელები პერსონალისთვის, სამრეცხაო და დამხმარე სათავსები, წყლის რეზერვუარები და ხანძარუსაფრთხოებისათვის ტუმბოები(C ბლოკი) და სახანძრო სისტემების მართვის ოთახი. მიწისქვეშა სართულზე გამოყოფილია სადმინისტრაციის სამი მანქანის სადგომი. მიწისქვეშა სართული უკავშირდება სართულებს ორი კიბით და 5 ლიფტით. საღტლზე განთავსებულია ასევე გვამის დროებითი განთავსების ოთახი. მიწისქვეშა სართულის გასანიავებლად და გასანათებლად მოწყობილია 5 სინათლის ჭა.

შენობის პირველი სართული მოიცავს დღევანდელი შიდა ეზოს ტერიტორიას (D ბლოკი) რომელიც 4 სართულის იატაკის დონეზე გადახურულია მინით და წარმოადგენსშეხვედრების და დასვენების ზონას სტუდენტების, სამედიცინო პერსონალის და მომსვლელებისთვის. ეს სივრცე უკავშირდება შენობა #2-ში განთავსებულ სასადილოს.

პირველ სართულზე (B ბლოკი) განთავსებულია კლინიკის ვესტიბიული და მიმღები განყოფილება. მიმღების კორიდორი უკავშირდება ორ ლიფტს მძიმე ავადმყოფების გადასაყვანად.

მიმღებში სასწრაფო ავადმყოფების მისაღებად მოწყობილია ავტოგასასვლელი შენობის სიღრმეში.

ბლოკის 2 სართულზე განთავსებულია კლინიკის ადმინისტრაცია და ამბულატორიული განყოფილება.

3,5,6 და მე-7 სართულებზე განთავსებულია პალატები. ყველა სართულზე განთავსებულია თითო აუდიტორია.

მე-4 სართულზე განთავსებულია საოპერაციო განყოფილება, 6 საოპერაციო ბლოკით.

დასავლეთის ტერიტორიაზე განთავსებულია სასწავლო კორპუსი A ბლოკი და ავტოსადგომები E ბლოკი.

A ბლოკი 7 სართულიანია 1 მიწისქვეშა სართულით.

მიწისქვეშა სართული მოიცავს A ბლოკის ნაწილს და ემიჯნება შენობა #2 (F ბლოკი) და ეზოს ნაწილს. სართულზე განთავსებულია საგამოცდო ცენტრის ვესტიბიული, სახანძრო წყლის რეზერვუარი და დამხმარე სათავსოები. საგამოცდო ცენტრი სართულებს უკავშირდება ორი ლიფტით და კიბის უჯრედით.

პირველ სართულზე Aდა B ბლოკის განთავსებულია სასწავლო კურპუსის ვესტიბიული, აუდიტორიები, ლაბორატორიები, დამხმარე ოთახები და საწყობები. შენობის 1,2 და3 სართულები მთლიანად მიწისქვეშ არის განთავსებული და 1 სართულის ლაბორატორიების გასანათებლად და გასანიავებლად მოწრობილია სინათლის 4 ჭა.

A და E ბლოკის მე-2 და მე-3 სართულებზე განთავსებულია ავტოსადგომები. ავტოსადგომი განთავსებულია ასევე E ბლოკის 4 სართლზე -დახურული და მე-5 სართულზე ღია ავტოსადგომი. რელიეფი საშუალებას იძლევა ავტოსადგომების შესასვლელები მოეწყოს ქუჩის მხრიდან.

სასწავლო კორპუსის- A ბლოკის მე-4 სართულზე განთავსებულია აუდიტორიები.

მე-5 სართულზე განთავსებულია რექტორატი, დეკანატი და ბიბლიოთეკის პირველი სართული.

მე-6 სართულზე განთავსებულია აუდიტორიები და ბიბლიოთეკის მე-2 სართული.

მე-7 სართულზე განთავსებულია საკონფერენციო დარბაზი.

A ბლოკში განთავსებულია 2 ლიფტი, დამაკავშირებელი ყველა სართულებისათვის. E ბლოკში განთავსებულია 1 ლიფტი რომელიც უკავშირდება 2,3 და 4 სართულების ავტოსადგომებს და 1 სართულს A და E ბლოკების.

A ბლოკს სამხრეთით ებმინება კიბე რომელიც აკავშირებს შიდა ეზოს E ბლოკის ავტოსადგომთან და A და E ბლოკებს შორის ქუჩიდან შემოსასვლელთან (ჩრდილოეთის მხრიდან). კიბეს სამხრეთიდან ემიჯნება საყრდენი კედელი.

C ბლოკი წარმოადგენს დამაკავშირებელს A და B ბლოკების 2,3,4,5,6,7 სართულების და E ბლოკის (შენ,#2) მე-3 სართულის. C ბლოკი პირველ სართულზე მთლიანად გახსნილია და წარმოადგენს შემოსასვლელი მოედნის გადახურვას.

მეორე სართულზე განთავსებულია ამბულატორიის ნაწილი-და დამაკავშირებელი კორიდორი.

მე-3 სართულზე განთავსებულია ექიმების კაბინეტები, საორდინატორო და დამაკავშირებელი კორიდორი .

მე-4-5 სართულებზე განთავსებულია უნივერსიტეტის საპროფესორო და ადმინისტრაციის ოთახები, საორდინატორო კლინიკის და სტუდენტური (სამეცადინო და დასვენების) სივრცე და დამაკავშირებელი კორიდორი.

მე-6 და მე-7 სართულებზე განთავსებულია სტუდენტური სივრცეები და დამაკავშირებელი კორიდორები. მე-7 სართულზე განთავსებული სტუდენტური სივრცე უკავშირდება საკონფერენციო დარბაზის ვესტიბიულს და კონფერენციის ჩატარებისას გამოყენებული იქნება ვესტიბიულად.

შენობა კარკასულია. გარე შემაბსებლად გამოყენებულია პემზის ბლოკი.

ფასადის მოსაპირკეთებლად გამოყენებულია ფუნდერმაქსის/ალუკაბონდის ფილა.

გარე კარფანჯრის და ვიტარჟების მასალად გამოყენებულია ალუმინის (რუხი ფერის) პროფილები.

შენობის პირველი სართული მოპირკეთებულია მუქი რუხი ფერის ქვის მასალით.

"შენობანაგებობების უსაფრთხოების წესების" დამტკიცების თაობაზე.საპროექტო შენობაში უნდა მოეწყოს:

1. შენობა აღიჭურვება NFPA13-ის ან საქართველოში არსებული შესაბამისი სტანდარტის მიხედვით დამონტაჟებული ავტოსამხეფი სისტემით;
2. შენობა აღიჭურვება ავტომატური სახანძრო საგანგაშო სისტემით;
3. ცეცხლის ავტომატური აღმომჩენებით;
4. კვამლზე მორეაგირე მაუწყებლის სისტემით;
5. სახანძრო სიგნალიზაციით;
6. მხედველობითი განგაშის შეტყობინების მოწყობილობებით; ტექსტური შეტყობინებებით;
7. გამოიყენება ასევე ავარიული განათება
8. ელექტრომომარაგება და განათება ხანძრის საკონტროლო ცენტრისთვის, განიავებისა და კვამლის ავტომატური აღმომჩენი მოწყობილებები, ლიფტი, გასასვლელი ნიშნები, გასასვლელი საშუალების განათება, ლიფტის კაბინის განათება, სახანძრო განგაშის სისტემა, ელექტროენერგიაზე მომუშავე სახანძრო ტუმბოები (საქაჩი), უზრუნველყოფილი იქნება შესაბამისი სათადარიგო ელექტრომომარაგების სისტემებით - დიზელგენერატორის საშუალებით;
7. დერეფანი განიავდება მექანიკური განიავების სისტემებით, ეს სისტემები იქნება ურთიერთ და სხვა სისტემებისგან დამოუკიდებელი.

3. დაგეგმარებისათვის გამოყენებული კანონმდებლობა:

- საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილება „მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ“;
- საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვარის №41 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტი „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესები“;
- საქართველოს მთავრობის 2020 წლის 4 დეკემბრის N732 დადგენილება ტექნიკური რეგლამენტი - „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები“-ს შესახებ ამოქმედდა 2021 წლის 1 მარტიდან;

- საქართველოს მთავრობის 2017 წლის 6 თებერვლის N64 დადგენილება „ტექნიკური რეგლამენტის - „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების“ დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის N41 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ;
- საქართველოს მთავრობის 2020 წლის 9 დეკემბრის N737 დადგენილება „ტექნიკური რეგლამენტის - „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების“ დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის N41 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ.

4. ნორმატიულ-ტექნიკური დოკუმენტაცია, რის მიხედვითაც ჩატარდა ინსპექტირება

ინსპექტირების მეთოდები და პროცედურები - ობიექტის საპროექტო დოკუმენტაციის ან მისი ცალკეული ნაწილის ექსპერტიზა.

ექსპერტიზის შესრულების პროცესში გამოყენებული იქნა:

საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილება „მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ“;

საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვარის №41 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტი „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესები“;

საქართველოს მთავრობის 2020 წლის 4 დეკემბრის N732 დადგენილება ტექნიკური რეგლამენტი - „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები“-ს შესახებ ამოქმედდა 2021 წლის 1 მარტიდან;

საქართველოს მთავრობის 2017 წლის 6 თებერვლის N64 დადგენილება „ტექნიკური რეგლამენტის - „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების“ დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის N41 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ;

საქართველოს მთავრობის 2020 წლის 9 დეკემბრის N737 დადგენილება „ტექნიკური რეგლამენტის - „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების“ დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის N41 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ.

5. კვლევითი ნაწილი

ექსპერტის მიერ არქიტექტურული პროექტის ნაწილების შესაბამისობა შეფასდა „მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის N255 დადგენილებით გათვალისწინებული შემდეგი საკითხები:

6. დაკავებულობებისა და დაკავებულობის დატვირთვის შეფასება

წარმოდგენილი პროექტი ითვალისწინებს შენობაში განთავსებულ თითოეული ტიპის დაკავებულობისთვის შენობა-ნაგებობების უსაფრთხოების წესებით განსაზღვრულ ყველა მოთხოვნას. დაკავებულობები კლასიფიცირდება და შეესაბამება მე-3 თავის მიხედვით და შეესაბამება წესების **302-ე ქვეთავს.**

პროექტში გამოყენებულია **თავშეყრის ჯგუფები (თვ-2 და თვ-3)**, **საქმიანი (სქ), სასაწყობო (სწ-1 და სწ-2), სავაჭრო (სვ) და დაწესებულებითი (დწ-2) ჯგუფების** დაკავებულობები.

1. **303.3. თავშეყრის ჯგუფი თვ-2** - ამ ჯგუფს მიკუთვნებული ადგილები თავშეყრისა და კვებისთვისაა განკუთვნილი. იგი მოიცავს ქვემოთ ჩამოთვლილს, მაგრამ არა მხოლოდ მათ:
   - რესტორნებს,
   - კაფეებს და კვების მსგავს დაწესებულებებს (მათთან დაკავშირებული სამზარეულოების ჩათვლით), საბანკეტო დარბაზებს,
   - ღამის კლუბებს.

   პროექტის მიხედვით, ამ ჯგუფს მიეკუთვნება - სართული ±0,00 მ ნიშნ.; და სრულიად შეესაბამება **303.3-ე** ქვეთავს,

თვ-2 დაკავებულობისთვის განსაზღვრულია დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორი - „**1.4“ (365 დამკავებელი)** და ფაქტორი „**9,3“ (4 დამკ.) 1004 ქვეთავისა** და **1004.1.2 ცხრილის** მიხედვით. დაკავებულობის დატვირთვა შეადგენს სართულების შესაბამისად 365+4=369-ს.

303.4 თავშეყრის ჯგუფი თვ-3. ამ ჯგუფს მიკუთვნებული ადგილები თავშეყრისათვის გამოიყენება, კერძოდ, რელიგიური მსახურების, რეკრეაციის ან გართობისთვის, ასევე, სხვა მიზნით თავშეყრისათვის, რომელიც არ არის კლასიფიცირებული თვ ჯგუფის არც ერთ ქვეჯგუფში. მოიცავს ქვემოთ ჩამოთვლილს, მაგრამ არა მხოლოდ მათ:
   - ბიბლიოთეკებს;
   - დახურულ საცურაო აუზებს (მაყურებელთა დასაჯდომების გარეშე);
   - დახურულ ჩოგბურთის კორტებს (მაყურებელთა დასაჯდომების გარეშე);
   - კეგელბანებს (ბოულინგის ბილიკები);
   - მოსაცდელ ადგილებს სატრანსპორტო ტერმინალებში;
   - მუზეუმებს;
   - საგამოფენო დარბაზებს...

პროექტით გათვალისწინებულია **თვ-3** დაკავებულობა +13,00; +21,00 და +25,00 მ ნიშნულებზე.
თვ-3 დაკავებულობისთვის განსაზღვრულია დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორი - **„1.4“**, **„4.7“** და დასაჯდომების რაოდენობა **1004 ქვეთავისა** და **1004.1.2 ცხრილის** მიხედვით. დაკავებულობის დატვირთვა შეადგენს სართულების შესაბამისად 705-ს.

2. **საქმიანი ჯგუფი სქ** (-3,80; ±0,00; +5,20; +9,00; +13,00; +17,00; +21,00; +25,00 მ ნიშნ.;) პროექტში წესების **304 თავის** მიხედვით აღნიშნული დაკავებულობა მოიცავს შენობის ან ნაგებობის ან მისი ნაწილის გამოყენებას საოფისე, პროფესიული ან სამომსახურებო ტიპის საქმიანობისთვის, მათ შორის, ჩანაწერებისა და ანგარიშების შესანახად. **სქ** დაკავებულობისთვის განსაზღვრულია დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორი „**9,3“ 1004 ქვეთავის და 1004.1.2 ცხრილის** შესაბამისად და დაკავებულობის დატვირთვა ყველა სართულზე შეადგენს 648-ს.

3. **სასაწყობო ჯგუფები სწ-1** დაკავებულობა (-3,80; ±0,00; +5,20; +13,00 სართულები ნიშნულებზე წესების **311.1 სასაწყობო ჯგუფი სწ. სასაწყობო ჯგუფის (სწ)** - დაკავებულობები, სხვებთან ერთად, მოიცავს საწყობად გამოყენებულ შენობას ან ნაგებობას, ან მათ ნაწილს და არ კლასიფიცირდება, როგორც საფრთხის შემცველი დაკავებულობა. **311.2 საშუალო საფრთხის შემცველი სასაწყობო ჯგუფი სწ-1**. საწყობად გამოყენებული შენობები, რომლებიც არ კლასიფიცირდება, როგორც **სწ-2** ჯგუფის და სადაც ინახება შემდეგი, მაგრამ არა მხოლოდ:

- წიგნები და ქაღალდის რულონები ან შეკვრები;
- მუყაო და მუყაოს ყუთები;
- ტანსაცმელი, მათ შორის - შალის;
- თოკები;
- ავეჯი.

1004 ქვეთავის და **1004.1.2 ცხრილის** მიხედვით აღებულია ფაქტორი „46,5“ და კარადების რაოდენობით დაკავებულობის დატვირთვა შეადგენს 86 დამკავებელს ყველა სართულზე.

4. **სასაწყობო ჯგუფის სწ-2** დაკავებულობები, სხვებთან ერთად, მოიცავს საწყობად გამოყენებულ შენობას ან ნაგებობას, ან მათ ნაწილს და არ კლასიფიცირდება, როგორც საფრთხის შემცველი დაკავებულობა. **311.3** ქვეთავი-ს შესაბამისად კლასიფიცირდება მცირე საფრთხის შემცველი სასაწყობო ჯგუფი **სწ-2** - შენობები, სადაც მოთავსებულია შემდეგი საქონელი, მაგრამ არა მხოლოდ:

- საკვები პროდუქტები;
- საკვები ცეცხლგამძლე კონტეინერებში;
- ახალი ხილი და ბოსტნეული არაპლასტმასის ლანგრებზე ან კონტეინერებში;
- გაყინული საკვები.

პროექტში **სწ-2** დაკავებულობას მიეკუთვნება (-3,80; ±0,00; +5,20; +9,00; +13,00; +17,00; +21,00; +25,00 მ ნიშნულებზე) განთავსებული სათავსოები.
1004 ქვეთავის და **1004.1.2 ცხრილის** მიხედვით აღებულია ფაქტორი „46,5“ და „18,6“ დაკავებულობის დატვირთვა შეადგენს სულ 151 დამკავებელს.

5. **სავაჭრო ჯგუფის სვ** დაკავებულობა შეესაბამება **309.1 ჯგუფს** - „სავაჭრო ჯგუფი სვ. სავაჭრო ჯგუფი (სვ) დაკავებულობა, სხვებთან ერთად, მოიცავს ისეთი შენობებისა და ნაგებობების ან მათი ნაწილების გამოყენებას, სადაც გამოფენილია და იყიდება საქონელი, ასევე, განთავსებულია ამგვარი საქონლის მარაგი, ნაკეთობები და სავაჭრო საქონელი და მისაწვდომია საზოგადოებისათვის.
სავაჭრო ჯგუფი მოიცავს ქვემოთ ჩამოთვლილს, მაგრამ არა მხოლოდ მათ:
   - აუქციონის დარბაზებს;
   - აფთიაქებს;
   - ბაზრებს/მარკეტებს;
   - საცალო და საბითუმო მაღაზიებს;
   - უნივერმაღებს.

პროექტით გათვალისწუნებულია სავაჭრო ფართობი პირველ სართულზე (±0,00 ნიშნულზე).
განსაზღვრულია დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორი **„2,8“** – **1004 ქვეთავის** და **1004.1.2 ცხრილის** შესაბამისად და დაკავებულობის დატვირთვა შეადგენს 6-ს.

6. **308.1 დაწესებულებითი ჯგუფი დწ.** დაწესებულებითი ჯგუფის (დწ) დაკავებულობა მოიცავს ისეთი შენობის ან ნაგებობის, ან მათი ნაწილის გამოყენებას, სადაც უვლიან და ზედამხედველობას უწევენ ადამიანებს, რომელთაც შეუძლიათ ან არ შეუძლიათ საკუთარი თავის მოვლა ფიზიკური დახმარების გარეშე, ან სადაც იმყოფებიან ადამიანები სასჯელის მოსახდელად ან ამოსასწორებლად, ან სადაც დამკავებლის თავისუფლება შეზღუდულია.
308.4 დაწესებულებითი ჯგუფი დწ-2. ეს დაკავებულობა მოიცავს შენობებსა და ნაგებობებს, სადაც დღეღამის განმავლობაში უწევენ სამედიცინო მომსახურებას ხუთზე მეტ ადამიანს, რომელთაც არ შეუძლიათ საკუთარი თავის მოვლა. ეს ჯგუფი მოიცავს შემდეგ დაწესებულებებს, მაგრამ არა მხოლოდ მათ:
   - დეტოქსიკაციის დაწესებულებებს;
   - მოხუცებულთა თავშესაფრებს;
   - საავადმყოფოებს...

პრექტით გათვალისწინებულია დწ-2 ჯგუფის პალატები სართულებზე ±0,00; +9,00; +17,00; +21,00 და +25,00 მ ნიშნუკებზე.
1004 ქვეთავის და **1004.1.2 ცხრილის** მიხედვით აღებულია ფაქტორი **„11,2“** დაკავებულობის დატვირთვა შეადგენს სულ 146 დამკავებელს.

7. კონსტრუქციის ტიპების შეფასება.

შენობა-ნაგებობების უსაფრთხოების წესების არსებული შენობებისთვის გამოყენებული მასალების ცეცხლმედეგობის (განსაზღვრულია **721.1 ცხრილის** მიხედვით), საპროექტო შენობებში არსებული დაკავებულობების საფუძველზე, ტერიტორიის საზღვრების სიახლოვიდან და შენობების სიმაღლეებიდან გამომდინარე განსაზღვრულია **I-A** კონსტრუქციის ტიპი.
ადმინისტრაციული შენობის მზიდი კედლები, რკინაბეტონის მონოლითური ფილებით გადახურვა დასრულებული ბრტყელი გადახურვის კონსტრუქციით, ასევე ფანჩატურის კონსტრუქციები

აკმაყოფილებს **601 ქვეთავს, 601 ცხრილის** მოთხოვნებს, გარე კედლების ცეცხლმედეგობის ხარისხი აკმაყოფილებს წესების **602 ცხრილში** განსაზღვრულ მინიმუმს ხანძარსაწინააღმდეგო მანძილიდან და გარე კედლების სამშენებლო მასალიდან გამომდინარე, რაც ქვემოთ უფრო დეტალურად იქნება აღწერილი.

8. სიმაღლისა და ფართობის შეფასება.

საპროექტო შენობა-ნაგებობების სიმაღლე და ფართობი განსაზღვრულია წესების მე-**5 თავის 503 ცხრილის** მიხედვით და შენობებში არსებული დაკავებულობების და კონსტრუქციების ტიპიდან (**I-A**) გამომდინარე საპროექტო შენობის ყველა ნაწილი აკმაყოფილებს განსაზღვრულ ნორმებს. შენობის დასაშვები სიმაღლე და ფართობი აკმაყოფილებს **503 ცხრილის** („შენობის დასაშვები სიმაღლე და ფართობი, შენობის სიმაღლის შეზღუდვები ნაჩვენებია მ-ში მიწის დონის ზემოთ. სართულიანობის შეზღუდვები ნაჩვენებია სართულებით მიწის დონის ზემოთ. ფართობების შეზღუდვები ნაჩვენებია $მ^2$-ში „შენობის ფართობი“ განსაზღვრების მიხედვით) მონაცემების შესაბამისად განისაზღვრა **I-A** ტიპის კონსტრუქციებს.

შენობის დაკავებულობების ფართობების ჯამური მაჩვენებელი გასასვლელი საშუალებების ფართობებთან და სხვა ელემენტებთან ერთად არ ცდება **503 ცხრილში** მითითებული სართულების ფართობთან დაკავშირებულ ზღვრებს.
შენობის სიმაღლე მიწის დონიდან შეადგენს **27,5 მ** ხოლო შენობის დაკავებული იატაკები მდებარეობს სახანძრო მანქანის მისადგომი ყველაზე დაბალი დონიდან 37 მ-ზე დაბლა.
საპროექტო შენობის სიმაღლე, სართულიანობა და ფართობები შესაბამისობაშია შერჩეულ კონსტრუქციულ ტიპთან და აკმაყოფილებს ***„წესების“*** **503 ცხრილის** მოთხოვნებს.

9. გასასვლელების, გასასვლელთან მისადგომების, გასავლელებისა და შენობიდან გამოსასვლელების შეფასება.

გასასვლელების სისტემაში შემავალი სამივე ელემენტის (გასასვლელთან მისადგომი, გასასვლელი, შენობიდან გამოსასვლელი) ანალიზი განხორციელდა შენობის თითოეული სართულის დაკავებულობის დატვირთვის, გასასვლელამდე სავალი მანძილის, დერეფნებთან დაკავშირებული შეზღუდვების და გასასვლელის კომპონენტების ზომების საფუძველზე **მე-10 თავის** შესაბამისად.

წესების **მე-10 თავის 1021.2 ქვეთავის** და **1021.2(2) ცხრილიდან** გამომდინარე შენობას მოთხოვნილი ორი გზა-კიბე: ერთი ღია შიდა გზა-კიბე, მეორე გარე ღია გზა-კიბე.

გასასვლელები განაწილებულია შემდეგნაირად:
-3.80 ნიშნულზე 3 გასასვლელია, 3 გზა-კიბე **სწ-1, სწ-2 და სქ** დაკავებულობებუდან და **წესების 1021.2(2) ცხრილიდან** გამომდინარე, მოთხოვნილი 2-ის ნაცვლად, 3 გზა-კიბეა გათვალისწინებული
პირველ სართულზე, ±0.00 ნიშნულზე საქმიანი **სქ**, თავშეყრის **თვ-2,** სასაწყობო **სწ-1 და სწ-2,** სავაჭრო **სვ და** დაწესებულებითი **დწ-2** ჯგუფების დაკავებულობების დატვირთვიდან და წესების **1021.2(2)** ცხრილიდან გამომდინარე, მოთხოვნილი ოთხის ნაცვლად ემსახურება 13 გასასვლელი, რომლებიც აკმაყოფილებს **1005.3.2 ქვეთავის** მოთხოვნებს და წესების შესაბამისი საფეხმავლო ბილიკის გავლით უკავშირდება საზოგადოებრივ ზონას - ქუჩას.
გასასვლელთან მისადგომი მაქსიმალური სავალი მანძილი არ აღემატება 52,1 მ-ს.
მეორე სართულზე საქმიანი **სქ**, სასაწყობო **სწ-1 და სწ-2** ჯგუფებს ემსახურება 7 გზა-კიბე (**1009.3.1 ქვეთვის** შესაბამისად) . გასასვლელთან მისადგომი მაქსიმალური სავალი მანძილი არ აღემატება 28,9 მ-ს.
მესამე სართულზე 7 გზა-კიბე, მეოთხეზე - 7, მეხუთეზე - 6, მექვსეზე- 5 და მეშვიდეზე 5 გზა-კიბე.
შენობის თითოეული სართულის დაკავებულობის დატვირთვის, გასასვლელამდე სავალი მანძილის და გასასვლელის კომპონენტების ზომები გათვალისწინებულია **მე-10 თავის** შესაბამისად.
ბოლო სართულიდან სახურავის ზედაპირზე მოხვედრა შესაძლებელია გზა-კიბეების მეშვეობით.
გზა-კიბეებს მოეთხივება **716.5 ცხრილის** შესაბამისობა.
წესების **მე-10 თავის 1004 ქვეთავის, 1004.1.2 ცხრილის** საფუძველზე განსაზღვრული დაკავებულობის

დატვირთვების გამოთვლის და თითოეული სათავსოს ანალიზის შემდეგ დადგინდა, რომ შენობის კლასიდან გამომდინარე შენობის კედლებს მოეთხოვება ცეცხლმედეგობის ხარისხი. შენობის გასასვლელი საშუალებები შეესაბამება **მე-10 თავის 1005, 1007 და 1027 ქვეთავების** მოთხოვნებს.

საპროექტო შენობის გასასვლელების რაოდენობა შეესაბამება წესების **1021 ქვეთავს** (**1021.2, სართულებიდან გასასვლელები**).

10. გზა-კიბეებისა და სხვა გასასვლელის საშუალებების გამტარუნარიანობების შეფასება.

გასასვლელი და გასასვლელთან მისადგომი გზა-კიბეები მოწყობილია **1009 ქვეთავის** შესაბამისად.

გზა-კიბეების სიგანე განსაზღვრულია **1009.4 ქვეთავის** და შენობის სართულზე მაქსიმალური დაკავებულობის დატვირთვის მიხედვით, გზა-კიბეების გამტარუნარიანობის გამოსათვლელად გამოყენებულია **1005.3.1. ქვეთავში** განსაზღვრული ფაქტორი (**7.6**). პროექტის მიხედვით გათვალისწინებულია 1.20 მ სიგანის გზა-კიბეები და მიღებული სიგანე შენარჩუნებულია შენობის ყველა სართულისთვის. კიბეებზე სავალი ზედაპირის ღია მხარეს მოწყობილია მოაჯირები **1013 ქვეთავის** შესაბამისად, ხოლო კედლის მხარეს სახელურები **1012 ქვეთავის** მოთხოვნათა დაცვით. სწორად არის განსაზღვრული საფეხურების შუბლის სიმაღლე და თარაზული ზედაპირის სიღრმე, რაც აკმაყოფილებს **1009.7.2 ქვეთავის** მოთხოვნებს. გზა-კიბეების ბაქნების ზომები შეესაბამება **1009.8 ქვეთავის** მოთხოვნებს.

გასასვლელების სისტემაში შემავალი დერეფნები მოწყობილია **1018 ქვეთავის** შესაბამისად და აკამყოფილებს ყველა აუცილებელ მოთხოვნას. დერეფნის მინიმალური სიგანე განსაზღვრულია **1018.2 ქვეთავის** და თითოეულ სართულზე დაკავებულობის დატვირთვის ჯამური მაჩვენებლის მიხედვით, და ასევე მისაწვდომობის რეგლამენტის დაცვით. დერეფნების გამტარუნარიანობის გამოსათვლელად გამოყენებულია **1005.3.2. ქვეთავში** განსაზღვრული ფაქტორი (**5.1 მმ**). პროექტის მიხედვით გათვალისწინებულია მოთხოვნილ 1,30 მ და მეტი, ხოლო პალატების სართულებზე 2,40 მ სიგანის, რაც შეესაბამება **1018.2 ცხრილის** მოთხოვნებს.

გასასვლელი გზა-კარები მოწყობილია **1008 ქვეთავის** შესაბამისად და აკმაყოფილებს ყველა აუცილებელ მოთხოვნას. გზა-კარის მინიმალური სიგანე განსაზღვრულია **1008.1.1 ქვეთავის** და მაქსიმალური დაკავებულობის დატვირთვის მიხედვით, გზა-კარების გამტარუნარიანობის გამოსათვლელად გამოყენებულია **1005.3.2. ქვეთავში** განსაზღვრული ფაქტორი (**5.1 მმ**). ყველა კარი აკმაყოფილებს განსაზღვრულ მინიმალურ მოთხოვნას, სიგანე 90 გრადუსით გაღებულ მდგომარეობაში უზრუნველყოფს მოთხოვნილ 82 სმ-ზე მეტ თავისუფალ სიგანეს. პალატების კარები 1,10 მ სიგანის.

11. მისაწვდომობის შეფასება

მე-**11-ე თავის 1103.2.4 ქვეთავის** მოთხოვნის შესაბამისად გეგმარების კონცეფციაში არის მითითებული მისაწვდომობის სვლა-გეზი, რისი საშუალებითაც შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებს შეუძლიათ ტერიტორიაზე, მათ შორის, ვერტიკალურად მოძრავი ბაქნით, ყველა დაკავებულობაში შესვლა. მიწის დონის ქვედა სართულზე შშმპ მოხვედრა შესაძლებელია ლიფტით.
გათვალისწინებულიია ტუალეტები და ადგილები თვ დაკავებულობებში. შენობის ყველა სართულის ყველა სათავსო მისაწვდომია შშმ პირთათვის. უფრო დეტალურად იხილეთ მისაწვდომობის შესაბამისობის საექსპერტო დასკვნა და გრაფიკული მასალა.

12. გარე კედლებისადმი მოთხოვნების შეფასება

საპროექტო შენობის გარე კედლების ყველა კომპონენტი, კერძოდ, გარე კედლის ღიობების მაქსიმალური ფართობი, ხანძარსაწინააღმდეგო მანძილი და ღიობების დაცვის ხარისხი, განსაზღვრულია **705 ქვეთავის** მიხედვით და შეესაბამება **705.8 ცხრილს.** მოცემული დოკუმენტაციის მიხედვით პროექტში, კონსტრუქციის ტიპისა და ხანზარსაწინააღმდეგო მანძილიდან გამომდინარე **602 ცხრილის** მიხედვით გარე კედლები არ

ცეცხლმედეგობის უზრუნველყოფას.
გარე კედლებში ჩასმული ღიობის ანაწყობები (კარები, ფანჯრები) აკმაყოფილებს წესების **705.8 ცხრილის** მოთხოვნებს ფართობის მიხედვით.

13. სახურავის ანაწყობების შეფასება

საპროექტო შენობის გადახურვის ტიპი არის ბრტყელი. გადახურვის ფილა შედგება შემდეგი ფენებისაგან: რკინაბეტონის გადახურვის ფილა, ქვიშა-ცემენტის ხსნარით მოჭიმვა, ჰიდროიზოლაცია, თბოიზოლაცია, ქვიშა-ცემენტის ხსნარით მოჭიმვა.
სახურავის კონსტრუქციები და არაძირითადი ნაწილები განსაზღვრულია **601 ცხრილის** მიხედვით. სახურავების ბურულების ხანძრის კლასიფიკაცია, კონსტრუქციული ანაწყობების მიხედვით ეკუთვნის **B** კლასს (**ცხრილი 1505.1ა**).

1505.3. B კლასის სახურავის ანაწყობები. B კლასის სახურავის ანაწყობებად ითვლება ის ანაწყობები, რომლებიც ტესტირების დროს უძლებს ზომიერი ცეცხლის ზემოქმედებას.

14. ცეცხლმედეგობის ხარისხიანი მოთხოვნილი გამმიჯნავების შეფასება

საპროექტო ტერიტორიის თითოეული ნაწილი ინდივიდუალურად არის კლასიფიცირებული წესების **508 ქვეთავის** შესაბამისად.
ტერიტორიაზე წარმოდგენილია საპროექტო შენობა, რომლის ნაწილებიც (საქმიანი სქ, თავშეყრის თვ-2, სასაწყობო სწ-1 და სწ-2, სავაჭრო სვ და დაწესებულობითი დწ-2 დაკავებულობები ითხოვს 1 სთ გამიჯვნას ავტოსაშხეფის პირობებში, მაგალითად, გამიჯვნა ესაჭიროება სქ და თვ-2 დაკავებულობებს. შენობას ასევე ესაჭიროება თარაზული გამიჯვნები 1 სთ ხარისხის, რაც შეესაბამება **508.4** ცხრილში განსაზღვრულ მოთხოვნებს.
დერეფნებს **1018 ქვეთავსა** და **1018.1 ცხრილის** მიხედვით არ მოეთხოვებათ ცეცხლმედეგობის ხარისხი, ვინაიდან შენობა აღჭურვილია ავტოსაშხეფი სისტემით.
შენობაში არსებული შახტების (ლიფტის, საჰაერო და საკომუნიკაციო) შემომზღუდავების ცეცხლმედეგობის ხარისხი არის 2 საათიანი, რაც შეესაბამება **713.4 ქვეთავის** მოთხოვნებს.

15. ხანძრისაგან დაცვის სისტემების შეფასება.

- შენობა მთლიანად აღჭურვილია ავტოსაშხეფი სისტემით **903.3.1.1, 903.3.2 ქვეთვების** მიხედვით გარდა იმ სათავსოებისა, სადაც დაუშვებელია წყლის ჭავლის მოხვედრა.
- ვინაიდან კიბის უჯრედი არ არის შემოზღუდული, გათვალისწინებულია ახლო-ახლო განლაგებული ავტოსაშხეფების სისტემა.
- სახანძრო განგაში მოწყობილობები **907 ქვეთავის** მიხედვით.
- სახანძრო მილდგარები **წვეთავი 905-ის** შესაბამისად.
- **907.2.11.1 და 907.2.12 ქვეთავების** მიხედვით საჭირო კვამლზე მორეაგირე სიგნალიზაციის მაუწყებლის მოწყობილობები, რომლებიც განთავსებულია ყველა ფართობის ჭერზე.
- **907.2.6.2 ქვეთავების** მიხედვით საჭირო კვამლის ავტომატური აღმომჩენები.
  შენობის ყველა დაკავებულობებში გათვალისწინებულია ხელის ცეცხლმაქრების განთავსება **906 ქვეთავის** შესაბამისად.
- ავარიული განათების ბილიკი **1024 ქვეთავის** შესაბამისად.
- მხედველობითი განგაშის შეტყობინების მოწყობილობები, ტექსტური შეტყობინება.
- საპროექტო მიწის ნაკვეთის შესასვლელთან და შენობის უკან გათვალისწინებულია სახანძრო-სამაშველო სამსახურის მიერ გამოსაყენებელი მისაერთებლის მოწყობა, რაც მოთხოვნილია ***„წესების“*** **912 ქვეთავში.**

16. წყალსადენის სისტემის ფიქსირებული მოწყობილობების შეფასება

წყალსადენი სისტემები და ფიქსირებული მოწყობილობები დადგენილია დაკავებულობის ტიპის მიხედვით და აკმაყოფილებს მინიმალურ მოთხოვნებს (**ცხრილი 1602.1**).

1015 ქვეთავის შესახებ იხ. საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის პასუხი #MIA 2 25 01092305 11/04/2025.

პროექტი შეესაბამება **1203, 1205 და 1206 ქვწთავებს**

17. განსაკუთრებული პირობები (დამატებითი)

1. საექსპერტო დასკვნა წარმოადგენს სანებართვო არქიტექტურული პროექტის, საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 საქართველოს მთავრობის დადგენილება და №.498 2017 წლის 20 ნოემბერის „ტექნიკური რეგლამენტის „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების“ დამტკიცების თაობაზე “ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

2. დადგენილებასთან ტექნიკურ რეგლამენტის – "შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების“ დამტკიცების თაობაზე“ და ამ დადგენილებიდან გამომდინარე რეგულაციებთან შესაბამისობის შეფასებას და არ მოიცავს საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედ, საპროექტო-სამშენებლო სფეროში გამოყენებულ სხვა რაიმე დადგენილებასთან შესაბამისობის ანალიზს.
3. საექსპერტო დასკვნისთვის მოწოდებული დოკუმენტაციის სისწორეზე და რეალობასთან შესაბმისობაზე პასუხისმგებელია მომწოდებელი მხარე - არქიტექტორი პაატა ჭავჭანიძე.
4. საექსპერტო დასკვნაში გამოყენებული ტერმინები (დაკავებულობა, დაკავებულობის დატვირთვა, მისაწვდომობა და სხვა) შეესაბამება *წესებში* გამოყენებულ ტერმინებს და უნდა განიმარტოს აღნიშნული *წესების* მიხედვით. განუმარტავი ტერმინები საყოველთაოდ მიღებული მნიშვნელობით გამოიყენება.

ექსპერტიზის დასკვნა

(კორექტირებული)

არქიტექტორ პაატა ჭავჭანიძეს მიერ, წარმოდგენილ **ქ. თბილისში, მეფე სოლომონ II-ის ქუჩა №4-ის,** (ს/კ 01.18.06.006.311) **ტერიტორიაზე სასწავლო უნივერსიტეტის „გეომედი"-ს საუნივერსიტეტო კლინიკის შენობის კორექტირებული არქიტექტურული პროექტის ნაწილების** მოქმედი ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასების შედეგად, ექსპერტის მიერ დადგინდა; მოწოდებული სახით ობიექტის საპროექტო დოკუმენტაციის კორექტირებული არქიტექტურული პროექტის ნაწილები შესაბამობაშია საქართველოში მოქმედ კანონმდებლობასთან და პროექტს ეძლევა დადებითი შეფასება.

ექსპერტი: ნატალია ვასილიევა

თბილისი,

13.04.2025 წ

რ ე ზ ი უ მ ე (CV)



სახელი და გვარი:	ნატალია ვასილიევა
დაბადების ადგილი:	საქართველო, თბილისი
ოჯახური მდგომარეობა:	დაოჯახებული
მისამართი:	თბილისი, შალვა ცინცაძის ქ., 41
ტელეფონი:	(+995-32) 2-66-33-38; მობ. 5 55 599 479
ენები:	ქართული სრულყოფილად, რუსული - მშობლიური, ინგლისური კარგად

გ ა ნ ა თ ლ ე ბ ა:

1974–1980 წწ – საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი. არქიტექტურის მაგისტრის დიპლომი (წარჩინებით).

1979–1981 წწ – უცხო ენების შემსწავლელი ორწლიანი კურსები (თბილისის სახელმწიფო უცხო ენათა ი.ჭავჭავაძის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტთან არსებული). წარჩინების დიპლომი.

1981–1985 წწ – საცხოვრებელი სახლების დაპროექტებისა და მშენებლობის ცენტრალური სამეცნიერო– კვლევითი ინსტიტუტი, ქ. მოსკოვი. ასპირანტურა, მოწმობა.

2011-2012 წ – ქ.თბილისის მერიის ინგლისური ენის კურსები - 2-ე და 3-ე დონეები. სერტიფიკატები.

2016 წ - ქ. თბილისის, ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტროს მთავრობის 41 დადგენილების „შენობა-ნაგებობების უსაფრთხოების წესების“ ტრენინგები.

ს ა მ უ შ ა ო გ ა მ ო ც დ ი ლ ე ბ ა :

2017.11-	შპს „არქ ექსპერტიზის ცენტრი“, თანანმდებობა: ტექნიკური მენეჯერი.
2017.05-	შპს „არქ ექსპერტიზის ცენტრი“, თანანმდებობა: არქიტექტორი-ექსპერტი.
2017.05-	შპს „არქტრენინგ ცენტრი“, თანანმდებობა: ტრენერი.
2014-2017	შპს „პროგრესი” (საპროექტო კომპანია), თანანმდებობა: არქიტექტორი.
2011-2012	შპს ”მარჩენკო” (არქიტექტურა, ტოპოგრაფია, 3დ სკანირება) თანანმდებობა: არქიტექტორი.
2008-2011	შპს „ტოპ დიზაინი“(საპროექტო–არქიტექტურული ფირმა), თანანმდებობა: არქიტექტორი.
1998–1999	მუნიციპალური განვითარების ფონდი (MDF – მსოფლიო ბანკის პროექტი). თანანმდებობა: კონსულტანტ–არქიტექტორი.
1987–1996	ქ. თბილისის ისტორიული ნაწილის დაცვის სახელმწიფო სამმართველო (თბილისის მერიასთან არსებული). თანანმდებობა: უფროსი არქიტექტორი.
1979–1981	„თბილზნიეპი“ (სამეცნიერო–კვლევითი და საექსპერიმენტო საპროექტო ზონალური ინსტიტუტი). თანანმდებობა: არქიტექტორი.
1973-1974	საკავშირო მცირე სიმძლავრის ელ.მანქნების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი „ВНИИТМЭ». თანანმდებობა: ლაბორანტი.
1972-1973	კავშირგაბმულობის განყოფილებების საპროექტო ინსტიტუტი «Гипросвязь», თანანმდებობა: ტექნიკოს-არქიტექტორი.

ბოლო დროის არქიტექტურული პროექტები:

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ობიექტები:

1. ქუთაისი, სამხედრო ნაწილის ყაზარმა - 2007 წ;
2. ქუთაისი, კოპიტნარი,საავიაციო ბაზა - 2007 წ;
3. ვაზიანი, სამხედრო ნაწილის ყაზარმა - 2008 წ;
4. გენერალური შტაბის შენობის რეკონსტრუქცია - 2008 წ.

ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლები:

1. დაბა თაბახმელა - 2008 წ;
2. თბილისი, შ. ცინცაძის ქ., #41 – 2009 წ.

მრავალფუნქციური სასაწყობე შენობა: თბილისი, გურამიშვილის გამზ., #39ა - 2016წ.

ავარიული სახლების გამაგრება-გაძლიერების არქიტექტურული პროექტები (თბილისი):

1. ჩეხოვის ქ., #37 – 2015წ;
2. ქიქოძის ქ., #12 – 2015წ;
3. გლდანის II მკრნ, კორპ. 25 – 2015წ;
4. გლდანის VI მკრნ, კორპ.2 – 2015წ.

საექსპერტო დასკვნები არქიტექტურულ პროექტებზე (2015წ):

1. საექსპერტო დასკვნა #70/1-1 ქ.თბილისში, დიღმის სასწავლო-საცდელი მეურნეობის მიმდებარე ტერიტორიაზე მდებარე „ოლომპიური მძლეოსნობის კომპლექსის“ არქიტექტურულ პროექტზე;
2. საექსპერტო დასკვნა #151/3 ქ.თბილისში, დიღმის სასწავლო-საცდელი მეურნეობის მიმდებარე ტერიტორიაზე მდებარე „ფრენბურთის ოლომპიური დარბაზების“ არქიტექტურულ პროექტზე.

საექსპერტო დასკვნები არქიტექტურულ პროექტებზე - შენობა-ნაგებობების უსაფრთხოების წესებთან შესაბამისობაზე (2017 წლიდან):

მრავალბინიანი საცხვრებელი სახლები, ქ.ბათუმი
მრავალბინიანი საცხვრებელი სახლი, ქ.თბილისი, ხერგიანის ქ. # 8
ინდივიდულური საცხოვრებელი სახლი, ქ.თბილისი, ბაგები, იმედაძის ქ.,#1
ინდივიდულური საცხოვრებელი სახლები,
წყნეთი გაზ- და ბენზინგასამართისადგურები, ქ.თბილისი, ვარკეთილი,
შეშელიძიოს ქ.
საოფისე შენობის რეკონსტრუქცია, ქ.თბილისი, აღმაშენებლის გამზ.,
61
ლითონნაკეთობათა საწარმოოს შენობა, ქ.თბილისი, ბაღნარის ქ., 2ა
მრავალპროფილიანი კლინიკა, ქ. თბილისი, ნოდარ ბოხუას ქ., 21
ღვინის ქარხნები, წინანდალი, ყვარელი ბაზრის შენობა,
რუსთავი სასაწყობო შენობა
მრავალბინიანი საცხოველი კომპლექსი ქ. თბილისში, აღმაშენებლის
ხეივანი მე-12 კმ
ქ. ბათუმი, საბავშვო ბაღები ##6, 10, 15,16
ქ. თბილისი, სამედიცინო ძაფების ქარხანა
ქ. თბილისი, ინგოროყვას კლინიკის რეკონსტრუქცია
ქ. თბილისი, ალადაშვილის კლინიკის რეკონსტრუქცია

ქ.თბილისი, კლინიკა ინ ვიტრო
ავტოგასამართი სადგურები თბილისში, გურჯაანში, ახმეტაში,
ყვარელში, მუხრანში, საგურამოში, თერჯოლაში, ოქროყანაში და სხვ.

უნარჩვევები:

საცხოვრებელი სახლებისა და საზოგადოებრივი შენობა–ნაგებობების დაპროექტება;

საექსპერტო დასკვნები არქიტექტურულ პროექტებზე (საცხოვრებელი, საზოგადოებრივი და საწარმოო შენობა-ნაგებობებზე);
